



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1666
10/09/2018

ქალაქი ბათუმი

1666-05-4-201809101757



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის და დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის ქეთევან დევაძის 2018 წლის 2603-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

„ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მადონა დავითაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - საბჭოს მდივანი;

დ) სოფიო მურვანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ე) ქეთევან დევაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ვ) ვახტანგ დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ზ) ჯონი მაჭარაშვილი - საქართველოს უსინათლო კავშირის წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

- თ) მირიან ცინცაძე - ა(ა)იპ შშმ პირთა უფლებებისათვის წარმომადგენელი, იურისტი - საბჭოს წევრი;
- ი) მაია ქათამაძე - ა(ა)იპ ფონდ ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის დირექტორი - საბჭოს წევრი;
- კ) გიორგი მურცხვალაძე - ქმედუნარო (უნარშეზღუდული) ბავშვთა საქველმოქმედო ფონდი „ღვთისშვილები“-ს წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;
- ლ) რუსუდან შერვაშიძე - ხელვაჩაურში შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდების მშობელთა კლუბის წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;
- მ) თემურ კაკაბაძე - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 23 მაისის №521 ბრძანება.
3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

